ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N2

28.02.2017

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

დღის წესრიგში წარმოდგენილია 1 ძირითადი საკითხი:

1. ასისტენტ პროფესორ ელენე კვანჭილაშვილის მიერ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე არჩევით საგნად წარმოდგენილი სილაბუსის „კროსკულტურული ფსიქოლოგია“ დამტკიცების საკითხი.
2. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები:

ნანა სუმბაძე, მზია წერეთელი, ლალი სურმანიძე

ასოცირებულიპროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ლუიზა არუთინოვი, თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე, ეკატერინე ფირცხალავა, ლილი ხეჩუაშვილი, ირინე ჟვანია;

ასისტენტპროფესორები :

ირინე გედევანიშვილი, ლია ჩხიკვიშვილი, ნინო ლაბარტყავა

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებულიპროფესორები :

იზაბელა პეტრიაშვილი, რუსუდან სანაძე, ეთერ ღვინერია, ზაქარია ქიტიაშვილი

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ფსიქოლოგიის მიმართულება :

ედუარდ პაირაზიანი

ანა გელაშვილი

ნათია კაპანაძე

პაატა ჯოლბორდი

ქეთევან ტუხაშვილი

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 25 წევრი

განიხილეს:

1. **ასისტენტ პროფესორ ელენე კვანჭილაშვილის მიერ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე არჩევით საგნად წარმოდგენილი სილაბუსის „კროსკულტურული ფსიქოლოგია“ დამტკიცება.**

ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა ასისტ. პროფ. ელენე კვანჭილაშვილის მიერ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე არჩევით საგნად წარმოდგენილი სილაბუსი „კროსკულტურული ფსიქოლოგია“. მ. მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს შეახსენა ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი წესი (ოქმი N18, 16.12, 2015), რომლის საფუძველზეც ფაკულტეტის საბჭოს 8 თებერვლის სხდომაზე ასისტ. პროფ. ელენე კვანჭილაშვილს უარი ეთქვა აგრეთვე სხვა სილაბუსის - „კულტურული ფსიქოლოგიის“ - კურიკულუმში შეტანაზე. ქართულენოვანი რიდერის ან მისი მესამედის მოტანის აუცილებლობის თაობაზე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ინფორმირებულია არაერთგზის. კოლეგებს მოეხსენებათ, რომ ზემოთაღნიშნული წესის თანახმად, საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს არჩევითი საგნების 10%-იანი კვოტა, რომლებსაც ახლავს ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ეს არის 6 სალექციო კურსი. მ. მელიქიშვილმა, ამასთანავე, აღნიშნა, რომ დღეის მოცემულობით, უცხოენოვანი ლიტერატურის მქონე სილაბუსების რაოდენობა აჭარბებს საბჭოს მიერ დადგენილ კვოტას - 10%-ს, რადგან რეალურად მიღებული გვაქვს ინგლისურენოვანი ლიტერატურის მქონე 12 სალექციო კურსი, მაგრამ, მისივე აღნიშვნით, ზედმეტი 6 სილაბუსი მიღებულია იმ დათქმით, რომ სასწავლო სემესტრის დაწყებისთვის ავტორები წარმოადგენენ შესაბამის ქართულენოვან რიდერებს, შესაბამისად, იმ პროფესორთა საგნები, რომლებმაც ვერ წარმოადგინეს ქართულად საკითხავი ლიტერატურის ერთი მესამედი მაინც, ახალ სემესტრში საგანთა ბაზაში არ დაფიქსირდება - არ გააქტიურდება. მ. მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ აღნიშნული წესის გათვალისწინებით, ფაქტობრივად, ასისტენტ-პროფესორ ე. კვანჭილაშვილის მიერ წარმოდგენილი სილაბუსის მიღება წინააღმდეგობაში იქნება ზემოთ მოტანილ დადგენილ წესთან. მოცემული სილაბუსის მისაღებად აღნიშნულ ვითარებაში მ. მელიქიშვილმა ერთ-ერთ გამოსავლად დაასახელა ინგლისურენოვანი სალექციო კურსების 10%-იანი კვოტის გაზრდა.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ნანა სუმბაძე - რადგანაც სამართლებრივ შეზღუდვაზეა საუბარი, ამ სილაბუსის არდაშვების ფაქტი მართულ პროცესად რომ არ გამოჩნდეს, ვფიქრობ, სჯობს კენჭი ვუყაროთ ინგლისურენოვანი ლიტერატურის მქონე სილაბუსების პროცენტული წილის გაზრდას 15%-მდე.

პროფ. ქეთევან ჭკუასელი - აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი საკითხი: ამგვარი საგნების პროცენტული რაოდენობის ზრდას არ მოჰყვეს სტუდენტთა არჩევანის შეზღუდვა. მათ მიეწოდებათ არჩევითი საგნების გარკვეული მოცულობა შესაბამისი კრედიტების რაოდენობით და, საკითხავია, 15%-მდე გაზრდა რა სურათს მოგვცემს ანუ არჩევითი საგნების მთლიანი რაოდენობის რამდენი პროცენტი იქნება ინგლისურენოვანი ლიტერატურის მქონე საგნები. ჩვენი გადაწყვეტილებით ხელი არ შევუშალოთ სტუდენტებს;

სტუდენტი ნათია კაპანაძე - სტუდენტები ნამდვილად არ ვუჭერთ მხარს ინგლისურენოვანი ლიტერატურის მქონე საგნების რიცხვის გაზრდას. ჩვენ სასწავლებლად მოვედით ქართულ უნივერსიტეტში, ქართულ დიპლომს ვიღებთ და სწავლების ენაც დასახელებულია ქართული. ასე მუდმივად შეიძლება ამ კვოტის მომატება - დღეს 15%, ხვალ 20% და ბოლოს 100%. გასაგებია, რომ ინგლისური ენის ცოდნა ძალიან კარგია, მაგრამ ინგლისურენოვანი ლიტერატურის მქონე საგნების რიცხვის ზრდა სტუდენტთა ინგლისური ენის ცოდნის დონის გაზრდის პროპორციული ნამდვილად ვერ იქნება.

სტუდენტი ანა გელაშვილი - ინგლისურენოვანი ლიტერატურის მქონე საგნების რიცხვის ზრდით არათუ ხელს შეგვიწყობთ, არამედ შეგვიშლით. ჯერ უნივერსიტეტმა კეთილი ინებოს და გაზარდოს უცხო ენის სწავლების ხარისხი და მერე შემოიტანეთ ამ ტიპის საგნები.

სტუდენტი პაატა ჯოლბორდი - მე ვარ საკმაოდ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტი, მაქსიმალურად ვცდილობ უნივერსიტეტში შევისწავლო ინგლისური ენა, მაგრამ ჩვენი სახელმძღვანელოებიდან მიღებული ლექსიკური მარაგი სრულებით არ მიესადაგება იმ პროფესიულ ლექსიკას, რომელიც ფსიქოლოგიის მეცნიერებაში დაწერილ უცხოენოვან სახელმძღვანელოებშია წარმოდგენილი. გამოდის, უნივერსიტეტი ამ გზით კერძო რეპეტიტორების პრაქტიკის რეკლამირებას ახდენს. ვფიქრობ, ინგლისურენოვანი ლიტერატურის მქონე საგნების რიცხვის გაზრდა ამ ეტაპზე არ არის სწორი გადაწყვეტილება.

პროფ. ნანა სუმბაძე - ჩემთვის ნათელია, რომ დღეს ამ სილაბუსის დამტკიცებას არავინ არ აპირებს. ამ ჩემს აზრს მიმყარებს წინა საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ სილაბუსთან დაკავშირებული მსჯელობა ელენე კვანჭილაშვილის პროფესიულ კომპეტენციასთან დაკავშირებით. ამ კომპეტენციის გაზომვას რა საშუალებებით ახერხებენ, ჩემთვის გაუგებარია.

პროფესორი თამარ გაგოშიძე - გასაგებია, რომ ეს განცხადება ჩემი მისამართითაა წარმოთქმული. წინა საბჭოს სხდომის მსგავსად, ვადასტურებ, რომ არც წინა და არც დღეს წარმოდგენილი სილაბუსის წარმომდგენი პროფესორის პროფესიული

კომპეტენცია სილაბუსის შინაარსობრივი სფეროსთვის შესაბამისად მე არ მიმაჩნია. რაც შეეხება პროფესორის კომპეტენტურობას, ის, როგორც აღიარებულია უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში, იზომება ადამიანის კვლევითი, სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილებით და შექმნილი პროდუქციით შესაბამის სფეროში.

ასოც. პროფ. ხათუნა მარწყვიშვილი - მინდა გამოვეხმაურო ქ-ნი ნანას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას კომპეტენციის გაზომვასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, პროფესიული კომპეტენცია განისაზღვრება ამა თუ იმ სფეროში ან კვლევითი გამოცდილების, ან პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით. შესაბამისად, პროფესორ თამარ გაგოშიძის შეხედულებაც სწორედ იმას უსვამს ხაზს, რომ ელენე კვანჭილაშვილი არ მუშაობს კულტურის ფსიქოლოგიის დარგში და არც მისი ძირითადი ნაშრომები და კვლევები შეეხება ამ დარგს. ე. კვანჭილაშვილს რეალურად აქვს კომპეტენციები სოციალური ფსიქოლოგიის და მედიის საკითხებში.

პროფ. ნანა სუმბაძე - მე წლებია ვკითხულობ ჯანმრთელობის ფსიქოლოგიასა და გარემოს ფსიქოლოგიას, თუმცა ჩემი კვლევითი ინტერესები ნამდვილად არ მიემართება ამ მიმართულებებს და არც ზემოთაღნიშნულ სფეროებში მუშაობის გამოცდილება მაქვს, შესაბამისად, გამოდის, რომ მე დაბალი პროფესიული კომპეტენციის ლექტორი ვყოფილვარ.

პროფ. თამარ გაგოშიძე - სამაგიეროდ, ქ-ნო ნანა, როგორც თქვენ აღნიშნეთ, წლებია კითხულობთ ამ საგნებს და ამ თვალსაზრისით გაქვთ დიდი გამოცდილება. ლექციებს კი წლების განმავლობაში ვერ ჩაატარებ, თუ ის საკითხები არ გაქვთ დამუშავებული.

ასოც. პროფ. მანანა მელიქიშვილი - საბჭოს წევრებო, ჩვენ გადავუხვიეთ მთავარ თემას, ვფიქრობ, ამდენი სამსჯელო არ იქნება, თუ დასაწყისისათვის ასისტ.პროფ. კვანჭილაშვილი ისევე, როგორც სხვები, წარმოადგენს ამ საგნის საკითხავი მასალის მესამედს მაინც ქართულ ენაზე.

სტუდენტი ქეთევან ტუხაშვილი - ჩვენს პრაქტიკაში ხშირია, როცა ლექტორებს შემოაქვთ ე.წ. რიდერები ქართულ ენაზე, თუმცა მათი ენობრივ-სტილური მხარე იმდენად მოუწესრიგებელია, რომ საკმაოდ დიდი დრო გვჭირდება მის გააზრებაზე და ზოგჯერ ვერც ვახერხებთ. ამ შემთხვევაში მით უფრო კრიტიკულადაა მდგომარეობა - სწავლის დაწყებამდე დარჩენილია მხოლოდ ერთი კვირა და ამ მოკლე ვადაში წარმოდგენილი ქართული საკითხავი მასალა წარმოგვიდგენია, რა ხარისხის იქნება.

საბჭოს მდივანი, ასოც. პროფ. ზაქარია ქიტიაშვილი - მე ვერ ვხვდები ასეთი სიჩქარის მიზეზს, ნუთუ ამ საგნის სექტემბრისთვის სრულყოფა და შემოტანა დააზარალებს ფსიქოლოგიის მეცნიერებას? ვფიქრობ, ნაჩქარევად გადაწყვეტილების მისაღებად არ გვაქვს საქმე. მეორეც, მივმართავ საბჭოს თავჯდომარეს: აქ გამოკვეთილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, განსახილველად პირველი რიგის საკითხად უნდა დავაყენოთ ინგლისურენოვანი ლიტერატურის მქონე საგნების პროცენტული წილის

- 10%-ს გაზრდის საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ წარმოდგენილი სილაბუსის დამტკიცება-არდამტკიცების თაობაზე. როგორც ქ-მა მ. მელიქიშვილმა მოგვახსენა, პროცენტული წილის არგაზრდის პირობებში ისედაც ვერ ვამტკიცებთ ამ სილაბუსს ქართულენოვანი რიდერის არარსებობის გამო. შესაბამისად, ვთხოვ საბჭოს თავჯდომარეს, პროფ. თ. გაგოშიძეს, ფაკულტეტის საბჭოს წინაშე კენჭისყრაზე დააყენოს საკითხი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ინგლისურენოვანი ლიტერატურის მქონე საგნების წილობრივი მაჩვენებლის 15 % -მდე გაზრდის შესახებ.

საბჭოს თავჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ მხარი დაუჭირა საბჭოს მდივნის, ზ. ქიტიაშვილის წინადადებას და საბჭოს წინაშე კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - **ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ინგლისურენოვანი ლიტერატურის მქონე საგნების წილობრივი მაჩვენებელი გაიზარდოს და განისაზღვროს 15 % -ით.**

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 10

თავი შეიკავა: 6

დაადგინეს: **ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ინგლისურენოვანი ლიტერატურის მქონე საგნების წილობრივი მაჩვენებელი დარჩეს უცვლელად - 10 %.**

ასოც. პროფ. ზ. ქიტიაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, წარმოდგენილი სილაბუსის განხილვა არასამართლებლივ ხასიათს მიიღებს არსებული კვოტის შევსებულობის გამო, ამიტომ მან საბჭოს თავმჯდომარესა და წევრებს მიმართა წინადადებით, რომ ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი - **ასისტ.პროფ. ე. კვანჭილაშვილის მიერ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე არჩევით საგნად „კროსკულტურული ფსიქოლოგიის“ სილაბუსის კენჭისყრა მიჩნეულ იქნას უსაფუძვლოდ და მოიხსნას** დღის წესრიგიდან.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას:

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 13

დაადგინეს:

ინგლისურენოვანი სილაბუსების კვოტის შევსებულობისა და წილობრივი მაჩვენებლის არგაზრდის გამო ასისტ. პროფ. ე. კვანჭილაშვილის მიერ წარმოდგენილი სილაბუსის - „კროსკულტურული ფსიქოლოგიის“ - კენჭისყრა მიჩნეულ იქნას უსაფუძვლოდ და მოიხსნას დღის წესრიგიდან.

2. პროფესორ გიორგი გოროშიძის მიერ საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილი საკითხები

ა) ფსიქოლოგიის აკრედიტებული და მოქმედი საბაკალავრო პროგრამის კანონიერ ძალაში დატოვების შესახებ; ბ) საბაკალავრო პროგრამაში გიორგი გოროშიძის მიერ წარმოდგენილი სამი საგნის ჩართვის შესახებ ("საქმიანი ურთიერთობის ფსიქოლოგია და ეთიკა", "ორგანიზაციის ურთიერთობა საზოგადოებასთან", და "საქმიანი ურთიერთობის ორგანიზაცია მცირე ბიზნესში").

საბჭოს თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ასოცირებული პროფესორი გიორგი გოროშიძე შემოსულია საბჭოს წინაშე რამდენიმე საკითხით. რადგანაც საკითხთა შინაარსი არ მოითხოვს კენჭისყრას და გათვლილია საბჭოს ინფორმირებაზე, ლოგიკურად მიიჩნევს ამ საკითხების ერთ მოხსენებად განხილვას.

პროფესორმა გიორგი გოროშიძემ დააყენა საკითხი ფსიქოლოგიის აკრედიტებული და მოქმედი საბაკალავრო პროგრამის კანონიერ ძალაში დატოვების შესახებ. მან განაცხადა, რომ პროგრამას აკლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა, რაც საფრთხეს უქმნის პროფესორების დატვირთვის სტაბილურობას.

აზრი გამოთქვეს:

<u>პროფესორი თამარ გაგოშიძე</u> - ფსიქოლოგიის მოქმედი საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც სტუდენტმა უნდა დააგროვოს სოციალურ მეცნიერებებში ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მისაღებად. დღეს მოქმედ პროგრამაში კრედიტების აღნიშნული განაწილება არის უცვლელი და საბაკალავრო კურსების თემატური კონცენტრაციები (მოდულები) შენარჩუნებულია უცვლელი სახით. პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი კურსები ინსტიტუტების (თემატური კონცენტრაცია) გადაწყვეტილების საფუძველზე. სხვა არანაირი თემატური ცვლილება კურიკულუმში შეტანილი არ არის.

<u>ასოცირებული პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი</u> - ფსიქოლოგიის მოქმედი საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: პირველი დონის საბაზისო კურსები - 40 კრედიტი(სავალდებულო); ფსიქოლოგიური კურსები - 120 კრედიტი, საიდანაც III დონეზე – 40 კრედიტი (15 სავალდებულო, 25 არჩევითი); მაინორი - 60 კრედიტი; თავისუფალი საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო არჩევითი საგნები - 20 კრედიტი. მოქმედ პროგრამაში კრედიტების აღნიშნული განაწილება არის უცვლელი. შესაბამისად, ბრალდება კრედიტების დაკლების თაობაზე არის უსაფუძვლო.

სასწავლო კურიკულუმში შეტანილია მხოლოდ არაარსებითი ცვლილებები. პროგრამას დაემატა შვიდი არჩევითი კურსი ინსტიტუტების (თემატური კონცენტრაცია) გადაწყვეტილების საფუძველზე. ასევე, სასწავლო კურიკულუმში

კურსები დალაგდა ანბანური თანმიმდევრობით აღქმის სიადვილის თვალსაზრისით და თითოეულ კურსს გვერდით მიეთითა ინსტიტუტი (თემატური კონცენტრაცია).

საბჭომ მოისმინა ასოცირებულ პროფესორ გიორგი გოროშიძის მოხსენება და მიიღო ცნობად.

სხდომის თავმჯდომარე:
პროფესორი
თამარ გაგოშიძე
/ /

სხდომის მდივანი:
ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი
/ /

28. 02.2017